იყავი ეფექტური - ენერგოეფექტური!

ენერგოეფექტურობის პოპულარიზაცია ზუგდიდის მუნიციპალიტეტში

ნათია ხანდოლიშვილი

თამარ გელაძე

სალომე ჩხეიძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე საზოგადოებასთან ურთიერთობის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

მედია, კომუნიკაცია და ჟურნალისტიკა:პრაქტიკა, კვლევა, მენეჯმენტი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნინო დანელია, სრული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2015

აბსტრაქტი 2

შესავალი 3

პროექტის საქმიანობები.. 15

კვლევის მიმოხილვა 21

პროექტის განხორციელების გრაფიკი 29

ბიუჯეტი. 40

პროექტის შედეგები 44

ბიბლიოგრაფია 49

აბსტრაქტი

მოცემულ ნაშრომში ასახულია ენერგოეფექტურობის პოპულარიზაციის ექვსთვიანი გეგმა ზუგდიდის მუნიციპალიტეტში. პროექტის მიზანია გამოვიკვლიოთ დღევანდელი მდგომარეობა ენერგოეფექტურობის თვალსაზრისითდა შესაბამისად დაიგეგმოს რიგი ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობს ენერგოეფექტურობის ცნობადობის ამაღლებას და მოსახლეობის ჩვევების შეცვლას ენერგოეფექტურობის სასიკეთოდ, რაც შემდგომში მათ ეკონომიკურ მდგომარეობასა და ეკოლოგიურ პირობებზე აისახება.

იმისათვის, რომ გაგვერკვია არსებული მდგომარეობა, გავეცანით დღემდე საქართველოში ჩატარებულ კვლევებს ენერგოეფექტურობის თემის ირგვლივ და ორგანიზაციებს, რომლებიც მუშობენ აღნიშნულ საკითხზე. მდგომარეობის გამოსაკვლევად გამოვიყენეთ „ვინროკ ინტერნეიშენალ ჯორჯიას“ 2014 წლის კვლევა, რომელიც მიზნად ისახავდა საქართველოში ინფორმაციის შეგროვებას, ცოდნის, დამოკიდებულებებისა და ქცევების შესახებ ენერგოეფექტურ ტექნოლოგიებსა და ენერგოეფექტურ პრაქტიკასთან მიმართებაში. კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ დაბალია ცნობადობა ენერგოფექტურობის შესახებ საზოგადოებაში. ამასთან, არსებობს გარკვეული დაინტერესება, თუმცაღა მოსახლეობა თავს იკავებს ენერგოეფექტური ღონისძიებების განხორციელებისგან, რადგან მიიჩნევს რომ ეს დაკავშირებულია მაღალ ფასთან და არ აქვს მკაფიო და ნათელი ინფორმაცია იმ სარგებლის შესახებ, რასაც მიიღებს ერთჯერადი დანახარჯის შემდეგ.

ასევე იმისათვის, რომ გაგვერკვია, რა ტიპის ღონისძიებები ჩატარებულა ამ დრომდე საქართველოში ენერგოეფექტურობის პოპულარიზაციის მიზნით, ჩავატარეთ ფოკუს ჯგუფი, რომელიც შედგებოდა ამ თემაზე მომუშავე ორგანიზაციების წევრებისაგან. ფოკუს ჯგუფის კვლევის შედეგად გამოიკვეთა სამუშაო მიმართულებები და ის აქტივობები, რომელთაც ახორციელებენ ორგანიზაციები ენერგოეფექტურობის პოპულარიზაციისათვის დღემდე.

რაც შეეხება ნაშრომის სტრუქტურას, იგი შედგება შესავალის, ძირითადი ნაწილისა და მოსალოდნელი შედეგებისგან. შესავალში მოცემულია თემის

მნიშვნელობა და აქტუალურობა, ძირითად ნაწილში მოცემულია კამპანიის დეტალური საქმიანობები და კვლევების მიმოხილვა. მოსალოდნელი შედეგებში მოცემულია როგორც მოკლევადიანი ასევე გრძელვადიანი პროექტის შედეგები.

ძირითადი თემატური საძიებო სიტყვები: საზოგადოებასთან ურთიერთობა, ენერგოეფექტურობა, პოპულარიზაცია, ფოკუს ჯგუფი, პიარი, კამპანია.